

დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

შორენა ქიოკაძე

**მამაკაცთა აუტოიმუნური უზმილობის
დიაგნოსტიკისა და პათოგენეზის
ზოგიერთი თავისებურებანი**

მედიცინის დოქტორის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის

ავტორეზუმერატი

თბილისი
2016

ნაშრომი შესრულებულია დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის, შპს “კანისა და ვენსნეულებათა ს/კ ეროვნული ცენტრი“-ისა და შპს “ოქროს საწმისი XXI საუკუნე –ჯანმრთელობის სახლი“-ს ბაზაზე.

სამეცნიერო ხელმძღვანელები:

ვახტანგ მუუნარგია, მედიცინის დოქტორი, დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის მიკრობიოლოგიისა და იმუნოლოგიის დეპარტამენტის პროფესორი

გიორგი გალდავა, მედიცინის დოქტორი, ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის პროფესორი, კანისა და ვენსნეულებათა ს/კ ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორი

ოფიციალური ექსპერტები/ოპონენტები:

ლალი ფხაღაძე, მედიცინის დოქტორი, ექიმი რეპროდუქტოლოგი, მეან-გინეკოლოგი, არჩილ ხომასურიძის რეპროდუქტოლოგიის ინსტიტუტის კლინიკური დირექტორი

ნათო დურგლიშვილი, მედიცინის დოქტორი, დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის დერმატო-ვენეროლოგიის დეპარტამენტის ასისტენტ პროფესორი, კანისა და ვენსნეულებათა ს/კ ეროვნული ცენტრის სგგდ დეპარტამენტის ექიმი დერმატო-ვენეროლოგი

ნუნუ მიცკევიჩი, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იმუნოლოგიის და მიკრობიოლოგიის კათედრის ასოცირებული პროფესორი

დისერტაციის გაცნობა შესაძლებელია დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში

დისერტაციის დაცვა შედგება 2016 წლის 9 ნოემბერს 16:00 საათზე დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის (0159, თბილისი, ლუბლიანას ქუჩა, 2/6) საკონფერენციო დარბაზში.

ავტორეფერატი დაიგზავნა 2016 წლის 23 ოქტომბერს.

სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი,
მედიცინის დოქტორი

თამარ თალაკვაძე

ნაშრომის ზოგადი დახასიათება

პრობლემის აქტუალობა

საქართველოში თანამედროვე დემოგრაფიული ვითარება მეტად მწვავე და აქტუალურია. მძიმე ეკონომიურმა პირობებმა და ქვეყანაში შექმნილმა არასტაბილურმა ვითარებამ კრიზისულ ზღვრამდე შეამცირა შობადობა. თუ გასული საუკუნის 80-იან წლებში საქართველოში ყოველწლიურად საშუალოდ 94 ათასი ბავშვი იბადებოდა, ამჟამად ახალშობილთა რაოდენობა თითქმის განახევრდა. შობადობის ჯამობრივი მაჩვენებელი მოსახლეობის მარტივი აღწარმოებისთვის საჭირო მნიშვნელობას უკანასკნელად 80-იანი წლების ბოლოს აღწევდა. 1991 წლიდან მაჩვენებელი იკლებს და 2005 წელს მინიმუმს აღწევს. შემდგომ წლებში დაიწყო მაჩვენებლის მატება და 2009 წელს დაფიქსირდა ბოლო პერიოდის მაქსიმალური მნიშვნელობები, მოიმატა აღწარმოების ბრუტო (0,910) და ნეტო (0,887) კოეფიციენტებმა ხოლო 2010 წელს, აღირიცხა 62585 ცოცხალშობილი, შობადობის მაჩვენებელმა 2009 წელთან შედარებით დაიკლო.

რაც შეეხება სხვადასხვა ქვეყნების მონაცემებს რეპროდუქტოლოგიაში, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით დღეისათვის მსოფლიოში ყოველი მეშვიდე წყვილი უნაყოფოა.

არასაკმარისადაა შესწავლილი მამაკაცთა იმუნური უნაყოფობის პათოგენეზი, ურთიერთსაწინააღმდეგოა მონაცემები სისტემური და ადგილობრივი იმუნური რეაქციების თავისებურებების შესახებ. ჯანმო-ს ექსპერტთა მიერ მეოცე საუკუნის ბოლოს გაცემული რეკომენდაციის თანახმად, მამაკაცთა უნაყოფობის იმუნოლოგიური დიაგნოზის დასმა შესაძლებელია მაშინ, როდესაც მოძრავი სპერმატოზოიდების 40%-ზე მეტი დაფარულია ასა-ით ან ადგილი აქვს გამეტების აგლუ-

ტინაციას არანაკლებ 1:32 განზავებულ შრატში ინკუბაციისას (WHO Manual for the Standardized Investigation Diagnosis and Management of the Infertile Male Published by Cambridge University Press 2000),

დღეისათვის უნაყოფობის განვითარების მრავალი მიზეზია ცნობილი, მაგრამ ბევრი საკითხი ჯერ კიდევ ბუნდოვანია, რადგანაც ეტიოლოგიური ფაქტორების სიმრავლე განაპირობებს მრავალმხრივ პათოგენეზურ ცვლილებებს ორგანიზმში, რაც დამატებით შესწავლას მოითხოვს.

სწორედ ამით აიხსნება ჩვენს მიერ შესწავლილი საკითხის აქტუალობა, განსაკუთრებით იმ ფაქტსაც თუ გავითვალისწინებთ, რომ საქართველოში მამაკაცთა უშვილობის პრობლემას ნაკლები ყურადღება ეთმობა. ამრიგად უნაყოფობის პრობლემა, რომელსაც აწყდებიან კონკრეტული წყვილები, მნიშვნელოვნად აქვეითებს მათ სოციალურ და პროფესიონალურ აქტივობებს, ზრდის განქორწინებების რაოდენობას, ხელს უწყობს ფსიქოლოგიურად არასრულფასოვნების კომპლექსის ჩამოყალიბებას, რომელიც თავისმხრივ ასევე ამძაფრებს დემოგრაფიულ სიტუაციას საზოგადოებაში.

დემოგრაფიული პრობლემა, მამაკაცთა უშვილობის დიაგნოსტიკური სირთულეები, პათოგენეზური პროცესების სრულყოფილად შეუსწავლებლობა- აი საკითხთა ის არასრული ნუსხა, რომლებიც აღნიშნულ საკითხს ჩვენი აზრით ძალზედ აქტუალურს ხდის.

მნიშვნელოვანია, რომ ჩვენი კვლევის შედეგების საფუძველზე შემუშავდება ის აუცილებელი სადიაგნოსტიკო კრიტერიუმები, რომელიც ფერტილობის დარღვევის მიზეზების გამოსავლენად იქნება აუცილებელი.

გამოკვლევის მიზანი და ამოცანები

– სქესობრივი გზით გადამდები ინფექციების და უროგენიტალური ტრაქტის სხვადასხვა ანთებითი პრო-

ცესებისა და პათოლოგიების გავლენის შესწავლა მამაკაცთა რეპროდუქტიულ და იმუნური სისტემის სხვადასხვა პარამეტრებზე.

- მიმდინარეობის თავისებურებების განსაზღვრა.
- დიაგნოსტიკისა და პროფილაქტიკური მეთოდების სრულყოფა.

ზემოთაღნიშნული მიზნის მისაღწევად დასახულია შემდეგი ამოცანები:

- შეფასდეს სქესობრივი გზით გადამდები ინფექციებით და უროგენიტალური ტრაქტის სხვადასხვა პათოლოგიებით დაავადებულ უშვილო მამაკაცებში სპერმატოზოიდების წინააღმდეგ მოქმედი აუტოიმუნური რეაქციების წარმოშობის სიხშირე.
- გამოვლინდეს სპერმატოზოიდების წინააღმდეგ მოქმედი აუტოიმუნური რეაქციების როლი ფერტილობის დარღვევაში და დაზუსტდეს ანტისპერმული ანტისხეულების პათოგენეტიკურად მნიშვნელოვანი დონეები (კონცენტრაციები).
- დაზუსტდეს სპერმატოზოიდების წინააღმდეგ აუტოიმუნური რეაქციების წარმოშობის ეტიოლოგიური ფაქტორები და პათოგენეტიკური მექანიზმები. მათი გავრცელების ხარისხი და აუტოიმუნური უნაყოფობის განვითარების პოტენციური რისკი.
- პერიფერიულ სისხლში შესწავლილ იქნას კავშირი სხვადასხვა კონცენტრაციის ანტისპერმალურ ანტისხეულებს, სქესობრივი გზით გადამდებ დაავადებებს და ქრონიკულად მიმდინარე შარდ-სასქესო სისტემის პათოლოგიურ პროცესებსა და უჯრედულ იმუნიტეტს შორის.
- განისაზღვროს IgA, IgG, IgM კლასის იმუნოგლობულინების დონეები ანტისპერმალური ანტისხეულების, სქესობრივი გზით გადამდები დაავადებებისა და უროგენიტალური ტრაქტის სხვადასხვა პათოლოგიებს დროს.

- სისხლის შრატში და სპერმაში განსაზღვრულ იქნას სქესობრივი გზით გადამდები და უროგენიტალური ტრაქტის სხვადასხვა პათოლოგიებით დაავადებულ უშილო მამაკაცებში IL-8-ის კონცენტრაცია.
- შეფასდეს იმუნობიოლოგიური სინჯების როლი უშილო წყვილებში სხვადასხვა კონცენტრაციის ანტისპერმალური ანტისხეულების, სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების და ქრონიკულად მიმდინარე შარდ-სასქესო სისტემის პათოლოგიური პროცესების დროს.

ნაშრომის მეცნიერული სიახლე

ნაშრომში წარმოდგენილია მამაკაცთა სუბფერტილობის იმუნოლოგიური და სხვა ფაქტორების კვლევისადმი სისტემური მიდგომა, რამაც შესაძლებელი გახადა მამაკაცთა რეპროდუქციული ფუნქციის აღნიშნული დარღვევები განგვეხილა მთლიანი ორგანიზმის პოზიციიდან.

გამოკვლეულია ანთებითი ციტოკინის IL-8-ის როლი და მისი დიაგნოსტიკური მნიშვნელობა კომპლექსური კლინიკურ-ლაბორატორული კვლევების დროს იმუნიტეტის სხვა პარამეტრებთან ერთად და დადგინდა მისი ჩართულობა მამაკაცის გენიტალური ტრაქტის ანთებით პროცესებსა და იმუნოლოგიურ ინფერტილობაში.

აღწერილი იქნა იმუნოლოგიური რეაქციების სისტემური რეგულაციის მექანიზმები აუტოიმუნური პროცესის აქტივობაზე და ასა-ის პროდუქციაზე დამოკიდებულებით. აღმოჩნდა, რომ ანტისპერმალური იმუნიტეტის ზომიერი აქტივობის პირობებში ანტისხეულების რაოდენობის ზრდის პროპორციულად მნიშვნელოვან ცვლილებებს განიცდის T-უჯრედული და ჰუმორული იმუნიტეტი. ჩვენს მიერ იქნა შესწავლილი შარდ-სასქესო სისტემის ორგანოთა ინფექციურ-ანთებითი პათოლოგიების როლი ჰემატოტესტიკულარული ბარიერ-

რის (ჰტბ) რღვევასა და ანტისპერმალური ანტისხეულების განვითარებაში.

ნაშრომის პრაქტიკული ღირებულება

ჩვენს მიერ დამტკიცებულია აუტოიმუნური რეაქციების როლი მამაკაცთა უნაყოფობის განვითარებაში. ნაჩვენებია, რომ ანტისპერმული ანტისხეულების არსებობას მისი მაღალი კონცენტრაციების დროს სისხლის პლაზმასა და სპერმაში თან სდევს სპერმოგრამის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების მნიშვნელოვანი გაუარესება და პარტნიორის დაორსულების ალბათობის შემცირება.

მამაკაცთა უშვილობის ეტიოლოგიური და პათოგენეზური ფაქტორების ზუსტად შეფასების მიზნით, შემუშავებულია კომპლექსური კლინიკურ-ლაბორატორული კვლევის მეთოდები და ის ძირითადი კრიტერიუმები, რაც აუცილებლობას წარმოადგენს ინფერტილობის ზუსტი დიაგნოზის განსასაზღვრელად, ამასთან ერთად სრულყოფილი ანთროპომეტრული და ანამნეზური მონაცემები საშუალებას აძლევს ამ სფეროში მოღვაწე პრაქტიკოს ექიმებს პაციენტისათვის მინიმალური დანახარჯების პირობებში, შეაფასოს დაავადების სიმძიმის ხარისხი, მისი ეტიოლოგიური ფაქტორები და განსაზღვროს მკურნალობის ადექვატური სქემები.

ამას გარდა კვლევების შედეგების საფუძველზე განისაზღვრა, რომ მამაკაცთა უნაყოფობის განვითარების პროფილაქტიკა-პრევენცია გულისხმობს:

- ვარიკოცელეს და კრიპტორქიზმის ქირურგიული მეთოდებით ადრეულ ეტაპზე მკურნალობას;
- საზარდულის თიაქარის ოპერაციის დროს, მცირე მენჯის დრუს ორგანოთა მინიმალურ ტრავმირებას;
- სგგი და უგტ-ის დაავადებების ადრეულ ეტაპზე დიაგნოსტირებასა და მკურნალობას.

ნაშრომის აპრობაცია

სადისერტაციო ნაშრომის აპრობაცია შესდგა დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის დერმატო-ვენეროლოგიის დეპარტამენტისა და კანისა და ვენ-სნეულებათა ს/კ ეროვნული ცენტრის სამეცნიერო საბჭოს გაფართოებულ სხდომაზე (ოქმი №5.09.2016).

სადისერტაციო მასალები და შედეგები მოხსენებულ იქნა:

- ალერგოლოგიისა და იმუნოლოგიის VI ეროვნულ კონგრესზე (თბილისი 2010 წ.);
- მედიკოსთა XXVII სკოლა-კონფერენციაზე (თბილისი 2010 წ.);
- დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდიენტთა და ახალგაზრდა მეცნიერთა პირველ სამეცნიერო კონფერენციაზე (თბილისი 2013 წ.).

სადისერტაციო თემის ირგვლივ გამოქვეყნებულია 7 სამეცნიერო ნაშრომი, სადაც სრულად არის ასახული დისერტაციის ძირითადი შედეგები და შეესაბამება აკადემიური ხარისხების მინიჭების დებულებისა და ინსტრუქციის მოთხოვნებს.

დისერტაციის სტრუქტურა და მოცულობა

დისერტაცია შედგება 8 ნაწილისგან: შესავალი, ლიტერატურის მიმოხილვა, კვლევის მასალა და მეთოდები, კვლევის შედეგები, შედეგების განხილვა, დასკვნები, პრაქტიკული რეკომენდაციები, გამოყენებული ლიტერატურის სია. ნაშრომი მოიცავს 114 ნაბეჭდ გვერდს, ილუსტრირებულია 18 ცხრილით და 13 დიაგრამით. ლიტერატურის სია მოიცავს 155 წყაროს.

გამოკვლევის მასალა და მეთოდები

ნაშრომს საფუძვლად დაედო 496 პაციენტის კომპლექსური კლინიკური გამოკვლევის შედეგები და მათი ამბულატორული ბარათების რეპროდუქციული ანალიზი. პაციენტთა ასაკი მერყეობდა 18-დან 45 წლამდე.

პაციენტებში, რომლებმაც უნაყოფობის მიზეზით მიმართეს ჩვენს სამკურნალო დაწესებულებას, ორსულობა არ იყო დადგენილი 1.5-დან 12 წლამდე, აქედან 47%-მა ადრე წარუმატებლად გაიარა დიაგნოსტიკისა და მკურნალობის კურსი სხვა სამედიცინო დაწესებულებებში.

საკონტროლო ჯგუფი შეადგენდა 19-დან 40-წლამდე ასაკის 25 ფერტილურ, ჯანმრთელ მამაკაცს ასა-ს გარეშე.

კვლევაში ჩართული იყვნენ მამაკაცები:

1. მამაკაცები სქესობრივი გზით გადამდები დაავადებით (ქლამიდიოზი, ტრიქომონიაზი, ურეაპლზმოზი, მიკოპლაზმოზი, გონორეა)
2. მამაკაცები შარდ-სასქესო სისტემის ორგანოების პათოლოგიებით – პროსტატიტი, ვარიკოცელე, სათესლე გზების ობტურაცია სგგდ-ს გარეშე
3. პაციენტების ასაკი – 18 წელი და მეტი
4. უშვილობა არანაკლებ 18 თვის მანძილზე (კონტრაცეპტივებისა და სხვა სახის დამცავი საშუალებების გარეშე თანაცხოვრება)

კვლევიდან გამოთიშვის კრიტერიუმები:

1. ათაშანგი, გენიტალური მიკოზი, ჰერპესი, ჰეპატიტები, მუნი, კონტაგიოზური მოლუსკი, HIV)
2. მამაკაცები მძიმე ექსტრაგენიტალური პათოლოგიით (დეკომპენსირებულ გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, ენდოკრინული სისტემის პათოლოგიები, მკვეთ-

რად გამოხატული ფსიქო-ნევროლოგიური რეაქციები და სხვა).

მთელი რიგი მაჩვენებლების შესწავლა ხორციელდებოდა როგორც სისტემურ, ასევე ლოკალურ დონეზე, ამასთან დაკავშირებით გამოკვლევის მასალად არჩეული იქნა: სათესლე სითხის პლაზმა, ცერვიკალური შიგთავსი, სისხლი და შრატის, ნაცხი ურეთრიდან, პროსტატის სეკრეტი.

გამოკვლევების დასაწყისში განსაკუთრებული მნიშვნელობას ვანიჭებდით ანამნეზური მონაცემების სრულყოფილ შევსებას. ვითვალისწინებდით ისეთ მონაცემებს როგორცაა: ასაკი, დაავადების ხანგრძლივობა, პაციენტის ჩივილები, ადრე ჩატარებული გამოკვლევები და მკურნალობა, პროფესია, სამუშაო პირობების შეფასება, პაციენტის ცხოვრების წესის განსაზღვრა: (დამოკიდებულება ალკოჰოლთან, თამბაქოსთან, ნარკოტიკებთან და სხვა) მემკვიდრეობითი და ენდოკრინული დაავადებები, ფსიქიური და ფიზიკური ტრავმები.

მამაკაცებს უტარდებოდათ შემდეგი ლაბორატორული გამოკვლევები:

სისხლისა და შარდის საერთო ანალიზი ავტომატურ ანალიზატორებზე შესაბამისად HUMACAUNT 5L და CoMBILYZER 13 (მწარმოებელი – Human Diagnostics Germany);

სისხლის სეროლოგიური ანალიზი სიფილისზე (RPR-ისა და TPHA-ს მეთოდების გამოყენებით BIO-RAD-ის ტესტ სისტემით), აგრეთვე გამოკვლევა აივ/შიდსზე, B და C ჰეპატიტებზე იმუნოქრომატოგრაფული მეთოდით (Standart Diagnostics – მწარმოებელი ქვეყანა Korea);

იმუნოფერმენტული მეთოდით შესრულებული კვლევების შედეგების რეგისტრირება ხდებოდა აპარატზე – HUMAREADER SINGLE (მწარმოებელი – Human Diagnostics Germany);

ანტისპერმალური ანტისხეულების (ასა) კონცენტრაციის განსაზღვრა სისხლის შრატში და სპერმაში იმუნოფერმენტული მეთოდით ხდებოდა გერმანული წარმოების IBL – HAMBURG-ის ტესტ-სისტემით.

Chlamydia trachomatis-ის დიაგნოსტიკა ხდებოდა იმუნოფლუორესცენციული მეთოდით (იფმ) LW Scientific Product LN2100, ფრანგული კომპანია BIO-RAD-ის მიერ წარმოებული Pathfinden *Chlamydia trachomatis* Direct Specimen Monoclonal Antibody 4.2 ml-ით ინტერპრეტაცია ხდებოდა ლუმინესცენტური მიკროსკოპით (ფირმა „Leica” – გერმანია)

როგორც დამხმარე საშუალებას ვიყენებდით იმუნოფერმენტულ მეთოდსაც (იფა) გერმანული კომპანია Novatec Immunodiagnostica GmbH-ის ტესტ სისტემის გამოყენებით.

სგეი-ის დიაგნოსტიკა საექვო შემთხვევებში ხდებოდა აგრეთვე ჯაჭვური პოლიმერიზაციის რეაქციით – PCR System 9700 (Applied Biosystems)

ბაქტერიოლოგიური კვლევა ტარდებოდა ურეთრალური ფლორის, ურეაპლაზმური ინფექციისა და გაზრდილი კულტურების ანტიბიოტიკებისადმი მგრძობელობის განსაზღვრით.

Mycoplasma hominis-ის კულტურალური გამოიყოფისთვის ვიყენებდით დიაგნოსტიკუმს, რომელიც იწარმოება საფრანგეთში SANOFIN diagnostik Paster (BIORAD), რომელიც ასევე საშუალებას იძლევა განვსაზღვროთ მგრძობელობა ანტიბიოტიკების მიმართ.

ურეთრის, წინამდებარე ჯირკვლის სეკრეტის გამოკვლევას ვატარებდით როგორც ნატიური ასევე გრამის წესით შეღებვის შემდეგ მიკროსკოპით (NIKON მწარმოებელი JAPAN).

ლიმფოციტების ფენოტიპირება ხდებოდა (CD3, CD4,

CD8, CD16, CD19) კომპანია Sorbent-ის მიერ წარმოებული მონოკლონური ანტისხეულებით, ინტერპრეტაცია ხდებოდა ლუმინესცენტური მიკროსკოპით და გამდინარე ციტომეტრით – FACSCalibur Analyzer (Becton Dickinson).

A, M და G კლასის იმუნოგლობულინების კონცენტრაციის განსაზღვრა ხდებოდა იმუნოფერმენტული მეთოდით, ჩეხური წარმოების კომპანია LACHEMA-ს ნაკრების გამოყენებით.

ინტერლეიკინ-8-ის დიაგნოსტიკა სპერმასა და სისხლის შრატში წარმოებდა იმუნოფერმენტული მეთოდით, გერმანული ფირმა – IBL – HAMBURG-ის მიერ წარმოებული სადიაგნოსტიკო ტესტ-სისტემის გამოყენებით.

ეაკულატის გამოკვლევა ტარდებოდა მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის რეკომენდაციების მიხედვით. (WHO 1999, 2010).

იმუნობიოლოგიური სინჯები: სპერმატოზოიდების ქცევა ცერვიკალურ შიგთავსში (კურცროკ-მილერის ცდა).

შარდ-სასქესო სისტემის ანთებითი პროცესების დიაგნოსტიკისათვის ვიყენებდით ულტრაბგერით გამოკვლევას. PHILIPS IU_22 X MATRIX-ზე.

შედეგები სტასტიკურად დამუშავდა დისპერსიული, კორელაციური და ფაქტორული ანალიზით, პროგრამული პაკეტის SPSS-12-ANOVA-ის მხარდაჭერით.

კვლევის შედეგები და ანალიზი

გამოკვლევულ მამაკაცთა უმრავლესობა მიეკუთვნება აქტიური რეპროდუქციული ასაკის ჯგუფებს (20-დან 35 წლამდე), რამაც ჯამში შეადგინა 388 (78.23%) პაციენტი. მონაცემები ასახულია ცხრილში 1.

ცხრილი 1

პაციენტთა განაწილება ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით

პაციენტთა ასაკი	პაციენტების რაოდენობა	
	რიცხვებში	პროცენტებში
18 დან – 20 მდე	72	14,5
20 დან – 25 მდე	104	20,9
25 დან – 30 მდე	124	25,0
30 დან – 35 მდე	88	17,7
35 დან – 40 მდე	60	12,1
40 დან – 45 მდე	48	9,8
სულ	496	100,0

პაციენტების განაწილებამ უშვილობის ხანგრძლივობის მიხედვით გვიჩვენა, რომ საკმაოდ მაღალია მომართვიანობა იმ პაციენტებისა, რომლებიც ანამნეზში აღნიშნავენ უშვილობას 3 წლამდე, 6 წლამდე და 8 წლამდე, რამაც ჯამში შეადგინა – 436 (87.9%) მამაკაცი. მონაცემები იხილეთ ცხრილში 2.

კვლევაში ჩართული მამაკაცებიდან არცერთს არ დაუდგინდა ნორმოსპერმიის დიაგნოზი. ყველაზე ხშირად, 64,5%-ში (320 მამაკაცი), ეაკულატში დადგინდა სპერმატოზოიდების მოძრაობისა და რაოდენობრივი ცვლილებების შემთხვევები, რაც გამოიხატა ასთენოტერატოსპერმიისა და სხვადასხვა ხარისხის ოლიგოზოოსპერმიით. ასპერმია დაფიქსირდა 44 პაციენტის სპერმის კვლევისას, რაც თესლგამომტანი სადინარების ობტურაციული პროცესებით უნდა აიხსნას. მამაკაცების ეაკულატის კვლევისას მიღებული მონაცემები ნაჩვენებია ცხრილში 3.

პაციენტების განაწილება უშვილობის
ხანგრძლივობის მიხედვით

უშვილობის ხანგრძლივობა	პაციენტების რაოდენობა	
	რიცხვებში	პროცენტებში
1,5 წლამდე	36	7,2%
3 წლამდე	136	27,4%
6 წლამდე	156	31,4%
8 წლამდე	108	21,8%
10 წლამდე	40	8,1%
12 წლამდე	20	4,1%
სულ	496	100,0

გამოკვლეული მამაკაცების ეაკულატის მონაცემები

ეაკულატი	პაციენტები	
	რაოდენობა	%
ასტენოტერატოსპერმია	88	17,8%
ოლიგოზოსპერმია I	92	18,5%
ოლიგოზოსპერმია II	84	16,9%
ოლიგოზოსპერმია III	56	11,3%
ასპერმია	44	8,9%
სპერმაგლუტინაცია	56	11,3%
ლეიკოციტოსპერმია	76	15,3%
სულ:	496	100%

ყველაზე მეტად გავრცელებულ ინფექციას წარმოადგენს ქლამიდიური ინფექცია, რომლისათვისაც დამახასიათებელია ძალიან მწირი კლინიკური გამოვლინება და ექიმთან მიმართვიანობა ხდება მოგვიანებით, რაც გვევლინება ძირითადად იმის მიზეზად, რომ თითქმის ყველა გამოვლენილი შემთხვევა ქრონიკული პროცესისათვის დამახასიათებელი მიმდინარეობით ხასიათდებოდა. კომპლექსური კლინიკურ-ლაბორატორული კვლევების შედეგად გამოვავლინეთ, რომ კვლე-

ვაში ჩართული 496 პაციენტიდან 276 (55,4%) მამაკაცი დაავადებული იყო შემდეგი სქესობრივი გზით გადამდები დაავადებებით, ხოლო 220 შარდ-შასქესო სისტემის სხვადასხვა პათოლოგიით. მონაცემები ნაჩვენებია ცხრილებში 4 და 5.

ცხრილი 4

გამოვლენილი სქესობრივი გზით გადამდები დაავადებები (სგვდ)

სგვდ	პაციენტების რაოდენობა	
	რიცხვებში	პროცენტებში
Chlamydia trachomatis	96	34,9
Ureaplasma urealyticum	74	26,6
Mycoplasma hominis	38	13,8
Trichomonas vaginalis	52	18,5
Neisseria gonorrhoeae	16	6,2
სულ	276	100

ცხრილი 5

შარდ-სასქესო-სისტემის სხვადასხვა პათოლოგიები

პათოლოგია	პაციენტების რაოდენობა	
	რიცხვებში	პროცენტებში
პროსტატიტი	90	41.1
ვარიკოცელე	56	25,3
სათესლე გზების ობტურაცია	74	33.6
სულ	220	100

როგორც ირკვევა, შარდ-სასქესო სისტემის პათოლოგიებიდან ყველაზე უფრო ხშირად გვხვდებოდა ქრონიკული პროსტატიტი და თესლგამომტანი ტრაქტისობტურაცია.


პაციენტების გამოსავლენად, რომლებიც შეადგენდნენ ანტისპერმული იმუნიტეტის განვითარების მაღალი რისკის ჯგუფს, კრიტერიუმების სახით განვიხილავდით ისეთ ფაქტორებს, როგორცაა: ასაკი, მემ-

კვიდრობა, სქესობრივი განვითარება, სგვდ, გენიტალური ორგანოების თანმხლები პათოლოგიები და ექსტრაგენიტალური დაავადებები, ისეთები, როგორიცაა სისტემური აუტოიმუნური პათოლოგიები, ალერგია, ენდოკრინოპათია, ტუბერკულოზი.

პირველ რიგში უნაყოფო მამაკაცები ანტისპერმალური ანტისხეულებით დავაჯგუფეთ უშვილობის ხანგრძლივობის მიხედვით, რომელთა მონაცემები ასახულია დიაგრამაში 1.

დიაგრამა 1

უნაყოფო მამაკაცებში უშვილობის ხანგრძლივობასა და ანტისპერმალური ანტისხეულების კონცენტრაციებს შორის კავშირი




დიაგრამა 1-დან ნათლად ჩანს, რომ საკმაოდ მაღალია იმ პაციენტების რაოდენობა რომლებიც ანამნეზში აღნიშნავენ უშვილობას 1,5-დან 8 წლამდე, რამაც ჯამში შეადგინა 436 (87,9%) მამაკაცი. შეინიშნება ასა-ს კონცენტრაციის მატების ტენდენცია უშვილობის ხანდაზმულობის ზრდასთან ერთად როგორც სისხლის პლაზმაში, ასევე ეაკულატში. თუმცა ჯგუფებს შორის სტატისტიკურ განსხვავებებს ადგილი არ ჰქონდა, რაც მოწმობს ანტისპერმული იმუნიტეტის განვითარებაზე უშვილობის ხანგრძლივობის ფაქტორის

გავლენის არასარწმუნოებას.

შემდეგ უშვილო მამაკაცები დავაჯგუფეთ ასაკის მიხედვით, რომლის შედეგებიც ნაჩვენებია დიაგრამაში 2.

დიაგრამა 2

გამოკვლეული უშვილო მამაკაცების ასაკობრივი დახასიათება ასა-ს შესაბამისი კონცენტრაციით



როგორც დიაგრამა 2-დან ჩანს, შეინიშნება ასა-ის დონეების საშუალო მნიშვნელობების ზრდის ტენდენცია ასაკის ზრდასთან ერთად (სისხლშიც და ეკულატშიც), თუმცა ისევე როგორც ანტისპერმული იმუნიტეტის განვითარებაზე დაავადების ხანგრძლივობის ფაქტორის გავლენის დროს, ამ შემთხვევაშიც ჯგუფებს შორის სტატისტიკურ განსხვავებებს ადგილი არ ჰქონდა, რაც მოწმობს იმას რომ არ არსებობს რაიმე შეზღუდვა ასაკსა და ანტისპერმული იმუნიტეტის განვითარების ინდუქციაში.

ანამნეზური მონაცემებიდან და პაციენტების დეტალური ანთროპომეტრული გამოკვლევებიდან ირკვევა,

რომ ასა-ის მქონე ყველა პაციენტში სქესობრივი განვითარება იყო სტატისტიკური ნორმის ფარგლებში. თითოეული პაციენტის სექსუალური ფუნქცია შეესაბამებოდა ასაკობრივ ნორმას.

ანამნეზში მამაკაცები აღნიშნავდნენ სხვადასხვა პათოლოგიებით ავადობას.


გამოკვლევულ ავადმყოფთა დიდი ნაწილი მიუთითებდა სხვადასხვა ინფექციურ და ანთებით დაავადებებზე, რაც გადატანილი ჰქონდათ ბავშვობაში, ან სიყმაწვილეში. დადგინდა, რომ პაროტიტით 7-10 წლის ასაკში ავად იყო გამოკვლევულთა 8%-მდე, ქუნთრუშითა და წითელთ - 13% და 22% - შესაბამისად, ჩუტყვავილათი - ყოველი მესამე.

თანმხლები აუტოიმუნური დაავადებები დაფიქსირდა შემთხვევათა 8%-ის ფარგლებში, მათ შორის: ბრონქული ასთმა - 4% პაციენტში, ფსორიაზი - 1%-ში, პირველი ტიპის დიაბეტი - 1%-ის შემთხვევაში. უნდა აღინიშნოს, რომ ექსტრაგენიტალური პათოლოგიების გამოვლენის ხარისხი არ იყო მძიმე, არ მოითხოვდა სპეციალური სახის მკურნალობას.

კვლევის პირველ ეტაპზე დავაჯგუფეთ 496 პაციენტის ანტისპერმალური ანტისხეულების დაბალი (მაგრამ ნორმაზე მაღალი), საშუალო და მაღალი (<100 ერთ/მლ, 100-150 ერთ/მლ, >150 ერთ/მლ) კონცენტრაციები სქესობრივი სგგდ-სა და შარდ-სასქესო სისტემის პათოლოგიების დროს ცალ-ცალკე, რომლის მონაცემები ასახულია დიაგრამაში 3.

დიაგრამიდან 3 ნათლად ჩანს რომ მამაკაცები ანტისპერმალური ანტისხეულების შედარებით დაბალი (<100 ერთ/მლ), საშუალო 100-150 ერთ/მლ და მაღალი (> 150 ერთ/მლ) კონცენტრაციებით გადანაწილდნენ სისხლში შესაბამისად 258, 98 და 140 მამაკაცი ხოლო ეაკულატში კონცენტრაციების მიხედვით შესაბამისად 160, 98 და 238 მამაკაცი.

ასა-ს სხვადასხვა კონცენტრაცია სისხლში და სპერმაში სგგდ-ს და უგტ-ის პათოლოგიების დროს




შემდგომ ეტაპზე ჩავატარეთ კვლევა სგგდ-ს და სხვადასხვა უგტ-ის პათოლოგიების როლზე ასა-ს პათოგენეზში, როგორც ზოგადად, ასევე ანტისპერმული იმუნიტეტის დაბალი, საშუალო და მაღალი ხარისხის განვითარებაში, რომლის შედეგადაც დავადგინეთ, რომ *Chlamydia trachomatis*-ით (96 მამაკაცი) დაავადებულ ყველა პაციენტში არსებობს მაღალი ხარისხის (ასა <150 ერთ/მლ) ანტისპერმული იმუნიტეტის განვითარების რისკი, სხვა სგგდ-სთან შედარებით მათ გამოუვლინდათ ასა-ს ყველაზე მაღალი კონცენტრაცია, როგორც სისხლში $155,0 \pm 7,26$ ერთ/მლ-ში, ასევე ეაკულატში – $198,7 \pm 5,81$ ერთ/მლ-ში.

მსგავსი შედეგები მივიღეთ იმ პაციენტებში, რომლებიც ინფიცირებულნი იყვნენ *Ureaplasma urealyticum*-

ით და *Mycoplasma hominis*-ით, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მამაკაცები *Ureaplasma urealyticum* გაერთიენდნენ ასა-ს საშუალო (100-150 ერთ/მლ) შემცველობის ჯგუფშიც, შესაბამისად 11 (15,1%). რაც შეეხება მამაკაცებს *Trichomonas vaginalis*-ით და *Neisseria gonorrhoeae*- თი, ამ დროს კავშირი ასა-ს განვითარებასთან არ არის სტატისტიკურად სარწმუნო, ამ პათოლოგიებით დაავადებული მამაკაცები გაერთიანდნენ დაბალი ანტისპერმული იმუნიტეტის მქონე (>100 ერთ/მლ) ჯგუფში, მიუხედავად იმისა, რომ ასა-ს კონცენტრაციები სისხლშიც და ეაკულატშიც ნორმაზე მაღალია. შედეგები მოცემულია დიაგრამაში 4.

დიაგრამა 4

სგი და მათი შესაბამისი ასა-ს კონცენტრაციები




*p< 0,005 – სარწმუნოა შედარებით ჯგუფებთან – *Trichomonas vaginalis*-ით *Neisseria gonorrhoeae*-ით.

ჩვენი კვლევის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენდა დაგვედგინა კავშირი შარდ-სასქესო სისტემის სხვადასხვა

სახის პათოლოგიებსა და ასა-ს განვითარებას შორის მიღებული მონაცემები ნაჩვენებია დიაგრამაში 5.

დიაგრამა 5

სხვადასხვა უგტ პათოლოგიები და ასა



* $P < 0,005$ სარწმუნოა პროსტატიტითა და ვარიკოცელეთი დაავადებულ მამაკაცთა ჯგუფებთან შედარებით.

დიაგრამა 5-დან ირკვევა, რომ თესლგამომტანი გზების ობტურაციის დროს ასა-ს შემცველობის მატება – შესაბამისად $165,7 \pm 5,54$ ერთ/მლ სისხლში და $196,1 \pm 7,41$ ერთ/მლ ეაკულატში. ზემოთ აღნიშნულ პათოლოგიებიდან ასა-ს კონცენტრაციის მატება პროსტატიტისა და ვარიკოცელეს დროს შედარებით უმნიშვნელოა.

ჩატარებულმა კვლევებმა გვიჩვენა ასა-ს წარმოქმნის შემდეგი ტენდენციები:

- ასა-ის დონის საშუალო მნიშვნელობების ზრდის ტენდენცია დაავადების ხანდაზმულობისა და ასაკის ზრდასთან ერთად, თუმცა ჯგუფებს შორის სტატისტიკურ განსხვავებებს ადგილი არ ჰქონდა, რაც მოწმობს ანტისპერმული იმუნიტეტის განვითარებაზე ასაკობრივი ფაქტორის გავლენის არასარწმუნოებას;

- პაციენტები, რომლებიც ინფიცირებულნი იყვნენ *Chlamydia trachomatis*-ით სხვა სგგდ-სთან შედარებით მათ გამოუვლინდათ ასა-ს ყველაზე მაღალი კონცენტრაცია. მსგავსი შედეგები მივიღეთ იმ პაციენტებში, რომლებიც ინფიცირებულნი იყვნენ *Ureaplasma urealyticum*-ით და *Mycoplasma hominis*-ით;
- *Trichomonas vaginalis*-ისა და *Neisseria gonorrhoeae*-ის კავშირი ასა-ს განვითარებასთან არ არის სტატისტიკურად სარწმუნო, მიუხედავად იმისა, რომ ასა-ს კონცენტრაციები ნორმაზე მაღალია;
- ანტისპერმული ანტისხეულების წარმოქმნაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს თესლგამომტან სადინრებთან ასოცირებული პათოლოგია, რომლის დროსაც გამოვლინდა ასა-ს კონცენტრაციის მნიშვნელოვანი მატება როგორც სისხლში ასევე ეაკულატში.

აუტოიმუნური რეაქციები სპერმატოზოიდების წინააღმდეგ და უჯრედული და ჰუმორალური იმუნიტეტის ზოგიერთი პარამეტრის მდგომარეობა

იმუნური სისტემის მხრივ სხვადასხვა სახის დისბალანსი, მთავარ როლს ასრულებს აუტოიმუნური რეაქციების ფორმირებაში. თუმცა მონაცემები მამაკაცებში სხვადასხვა კონცენტრაციის ასა-სა და გრანულოციტების, მაკროფაგების სისტემის მდგომარეობის, ასევე ლიმფოციტების სხვადასხვა პოპულაციების რაოდენობისა და თანაფარდობის შესახებ, ძალზედ მცირერიცხოვანი და ურთიერთსაწინააღმდეგოა, ინტერფერონების სისტემის რეაქციები და იმუნური რეაქციების თავისებურებები უცხო ანტიგენებზე და ინფექციურ აგენტებზე იმ პაციენტებში, რომლებსაც აქვთ უნაყოფობის იმუნოლოგიური ფაქტორი საერთოდ არა არის აღწერილი. ასევე არ არის დადგენილი კავშირი ასა-ის ტესტების მონაცემებსა და იმუნური სისტემის ცალკეულ პარამეტრებს შორის.

ჰუმორული და უჯრედული იმუნიტეტის შეფასება

ჰუმორალური იმუნიტეტის შეფასებისათვის ვატარებდით A, M და G კლასის იმუნოგლობულინების განსაზღვრას სხვადასხვა ასა-ს შემცველობის მქონე მამაკაცებში. შედეგები მოცემულია ცხრილში 6 და დიაგრამებში 6, 7, 8.

ცხრილი 6

იმუნოგლობულინების კონცენტრაცია ასა-ის სხვადასხვა შემცველობის დროს სისხლში

იმუნოგლობულინები (გ/ლ)	ასა ერთ/მლ			საკონტროლო ჯგუფი (n=25)
	<100 (n=258)	100-150 (n=98)	>150 (n=140)	
IgA	1,60±3,05	*2,75±4,59	*2,95±3,20	1,5±0,25
IgM	1,45±0,06	2,10±1,78	1,75±1,14	1,55±0,08
IgG	9,53±2,98	*13,15±5,01	*13,30±4,89	9,2±0,4


* $P < 0,005$ სარწმუნოა საკონტროლო ჯგუფთან შედარებით.

როგორც ცხრილი 6 დან და დიაგრამებიდან 6, 7, 8 ირკვევა რომ იმ პაციენტებს, რომლებსაც ასა-ს კონცენტრაცია სისხლში აქვთ მაღალი >150 მგ/ერთ, ან საშუალო 100-150 მგ/ერთ აღენიშნებოდათ სტატისტიკურად სარწმუნოდ ($p=0,001$) IgA და IgG მაღალი შემცველობა საკონტროლო ჯგუფთან შედარებით. ასევე შეინიშნება ტენდენცია IgM-ს მატების საკონტროლო ჯგუფთან შედარებით, რაც შეიძლება განხილული იქნას მაღალი აქტივობის აუტოიმუნურ რეაქციად.

მამაკაცებს, რომლებსაც ასა-ს კონცენტრაცია სისხლში ჰქონდათ <100 მგ/ერთ, საკონტროლო ჯგუფთან შედარებით აღენიშნებოდათ სტატისტიკურად არასარწმუნო მატება სამივე ტიპის იმუნოგლობულინებისა.


დიაგრამა 6

იმუნოგლობულინ A-ის კონცენტრაცია სხვადასხვა ასა-ის დროს




დიაგრამა 7

იმუნოგლობულინ M-ის კონცენტრაცია სხვადასხვა ასა-ის დროს



დიაგრამა 8

იმუნოგლობულინ A-ის კონცენტრაცია სხვადასხვა ასა-ის დროს



ჩვენ შევისწავლეთ ურთიერთკავშირი სხვადასხვა კონცენტრაციის ასა-სა და უჯრედული იმუნიტეტის ზოგიერთ პარამეტრს შორის, კერძოდ შევსწავლეთ ურთიერთდამოკიდებულება ინფერტილურ მამაკაცებში სხვადასხვა ასა-ას კონცენტრაციასა და ლეიკოციტების, ლიმფოციტების, ასევე მისი სუბპოპულაციები: კერძოდ T-ლიმფოციტების (CD3), T-ჰელპერების (CD4), T-სუპრესორ/ციტოტოქსიურების (CD8), ნატურალური კილერების NK (CD16), B-ლიმფოციტების (CD19) შემცველობას შორის სისხლში. შედეგები მოცემულია ცხრილში 7 და დიაგრამებში 9 (ა, ბ).

როგორც ცხრილი 7-დან და დიაგრამებიდან 9(ა, ბ) ჩანს, ასა-ის მქონე ყველა ჯგუფის პაციენტების სისხლში ლეიკოციტების საშუალო მაჩვენებელი მომატებულია.

ამ დროს იგი სარწმუნოდ განსხვავდება საკონტროლო მნიშვნელობისაგან ($P < 0,05$). ასევე ასას-ის მქონე ყველა ჯგუფის პაციენტთა უმრავლესობაში შეიმჩნევა ლიმფოციტების კონცენტრაციის ზრდის ტენდენცია, თუმცა შემჩნეული განსხვავებები არ არის სტატისტიკურად სარწმუნო.

პერიფერიულ სისხლში ლიმფოციტების სხვადასხვა პოპულაციის აბსოლუტური შემადგენლობის ანალიზი გვიჩვენებს T-უჯრედების (CD3+) და ნატურალური კილერების გარკვეულ მომატებას ყველა ასა-იან ჯგუფში მაგრამ არამნიშვნელოვნად, ხოლო T-სუპრესორები/ციტოტოქსიური ლიმფოციტების (CD8+) რაოდენობა მომატებულია სტატისტიკურად სარწმუნოდ.


პერიფერიულ სისხლში ლეიკოციტების,
ლიმფოციტებისა და მათი პოპულაციების
აბსოლუტური შემცველობა ასა-ს
კონცენტრაციებთან მიმართებაში

მაჩვენებლები (მლნ)	ასა-ის მქონე პაციენტები (ერთ/მლ)			საკონ- ტროლო ჯგუფი n=25
	<100	100-150	> 150 და მეტე	
*ლეიკოციტები	6,11±0,623 (5,4-10,0)	6,32±0,606 (4,3-10,2)	6,34±0,282 (3,6-10,9)	5,60±0,268 (3,5-9,7)
ლიმფოციტები	2,07±0,231 (1,2-2,9)	2,17±0,138 (1,4-3,8)	2,14±0,091 (1,0-3,8)	1,93±0,127 (1,0-3,4)
T-ლიმფოცი- ტები (CD3)	1,46±0,251 (0,53-2,35)	1,43±0,097 (0,83-2,43)	1,34±0,069 (0,59-2,56)	1,26±0,091 (0,55-2,51)
T-ჰელპერები (CD4)	0,78±0,159 (0,26-1,62)	0,80±0,049 (0,53-1,33)	0,77±0,043 (0,24-1,48)	0,77±0,072 (0,28-1,70)
T-სუპრ/ციტოტ. * (CD8)	0,49±0,056 (0,26-0,65)	0,56±0,043 (0,26-0,97)	0,56±0,037 (0,15-1,19)	0,48±0,044 (0,25-1,09)
nk -უჯრედები (CD16)	0,30±0,053 (0,17-0,67)	0,30±0,043 (0,05-0,87)	0,30±0,038 (0,07-1,18)	0,27±0,030 (0,07-1,80)
B-ლიმფო- ციტები (CD19)	0,15±0,032 (0,05-0,32)	0,18±0,026 (0,06-0,53)	0,24±0,029 (0,03-0,58)	0,18±0,020 (0,05-0,58)


შენიშვნა: – განსხვავება ასა-ის ჯგუფსა და საკონტროლოს შორის სარწმუნოა სიზუსტით *P<0,005 – განსხვავება ასა-ის სხვადასხვა დონის მქონე ჯგუფებს შორის სარწმუნოა სიზუსტით *P<0,005

დიაგრამა 9(ა)

პაციენტების პერიფერიულ სისხლში ლეიკოციტების, ლიმფოციტებისა და მათი პოპულაციების აბსოლუტური შემცველობა ასა-ს კონცენტრაციებთან მიმართებაში



დიაგრამა 9(ბ)



შენიშვნა: – განსხვავება ასა-ის ჯგუფსა და საკონტროლოს შორის სარწმუნოა სიზუსტით *P<0,005 – განსხვავება ასა-ის სხვადასხვა დონის მქონე ჯგუფებს შორის სარწმუნოა სიზუსტით *P<0,005

ასა-ის მქონე პაციენტების პერიფერიულ სისხლში
ლიმფოციტების სხვადასხვა სუბპოპულაციების
შედარებითი შემცველობა ასა-ს კონცენტრაციებთან
მიმართებაში

მაჩვენებლები(%)	ასა-ის მქონე პაციენტები (ერთ/მლ)			საკონ- ტროლო ჯგუფი (n=25)
	<100	100-150	> 150 და მეტი	
T-ლიმფოციტები (CD3)	67,4±5,22	66,9±2,23	62,9±1,46	65,3±1,97
T-ჰელპერები(CD4)	36,7±5,07	37,6±10,31	37,2±1,42	39,7±1,99
*T-სუპრ/ციტოტ. (CD8)	23,1±3,71	26,2±2,44	27,1±2,07	24,6±1,58
NK-უჯრედები (CD16)	14,4±4,08	15,3±3,99	17,6±3,54	13,7±0,08
B-ლიმფოციტები (CD19)	6,9±10,44	8,1±1,14	11,0±1,14	9,5±1,29

შენიშვნა: – განსხვავება ასა-ის ჯგუფსა და საკონტროლოს შორის სარწმუნოა სიზუსტით *P<0,05; – განსხვავება ასა-ის სხვადასხვა დონის მქონე ჯგუფებს შორის სარწმუნოა სიზუსტით *P<0,005

ლიმფოციტების შედარებითი შემცველობის ანალიზი (ცხრილი 8) გვიჩვენებს, რომ ლიმფოციტების რაოდენობის ზრდა ხორციელდება საერთო პოპულაციაში NK-უჯრედებისა და T-სუპრ/ციტოტოქსიური უჯრედების წილის ზრდის ხარჯზე. შეიმჩნევა NK-უჯრედების ზრის ტენდენცია ანტისპერმალური ანტისხეულების კონცენტრაციის მატებასთან შესაბამისად მაგრამ არამნიშვნელოვნად, ხოლო რაც შეეხება T-სუპრ/ციტოტოქსიურ უჯრედებს, მათი მატება საკონტროლო ჯგუფთან შედარებით სტატისტიკურად სარწმუნოა.

ყოველივე ზემოთ აღნიშნული განპირობებულია იმით, რომ სგგდ და უროგენიტალური ტრაქტის პათოლოგიები სხვადასხვა კონცენტრაციის ასა-ს წარმოქმნის ხარჯზე მნიშვნელოვნად განაპირობებენ სისტემურ დონეზე იმუნური მაჩვენებლების ცვლილებებს, რომლებიც შესაძლოა დამოკიდებულნი არიან აუტოიმუნური პროცესის აქტივობის ხარისხზე. აღნიშნული ცვლილებები შესაძლოა განვიხილოთ როგორც მეორადი იმუნოსუპრესიის ნიშნები.

სპერმატოზოიდების ქცევა ცერვიკალურ შიგთავსში in vitro (კურცროკ-მილერის ცდა)

ჩვენ შევისწავლეთ სხვადასხვა ნიმუშებში სპერმატოზოიდების ქცევა ცერვიკალურ შიგთავსში – in vitro და მიღებული შედეგები გავაანალიზეთ შარდ-სასქესო სისტემის სხვადასხვა პათოლოგიებთან კავშირში – ეაკულატში ასა-ს სხვადასხვა კონცენტრაციის დროს, სგგდ არსებობის დროს, გენიტალური ორგანოების სხვადასხვა პათოლოგიებთან კავშირში. მიღებული შედეგები მოცემულია ცხრილებში 9, 10, 11.

ცხრილი 9

სპერმატოზოიდების ყოფაქცევა ცერვიკალურ შიგთავსში – in vitro ცდა ასა-ს სხვადასხვა კონცენტრაციის დროს ეაკულატში

in vitro ვარიანტები	ასა-ს შემცველობა ეაკულატში (ერთ/მლ)		
	<100 (51 მამაკაცი)	100 -150 (21 მამაკაცი)	>150 (47 მამაკაცი)
ა	4 (7,8%)	1 (5,1%)	1 (2,6%)
ბ	12 (23,5%)	4 (20,2%)	12 (25,6%)
გ	14 (27,5%)	5 (22,2%)	14 (30,6%)
დ	21 (41,2%)	11 (52,5%)	20 (41,2%)

შენიშვნა: ა) დადებითი კურცროკ-მილერის ცდა; ბ), გ) საექვო შედეგი; დ) უარყოფითი შედეგი.

როგორც ცხრილი 9-დან ირკვევა ეაკულატში ასა-ს შემცველობის ზრდასთან ერთად მნიშვნელოვნად მცირდება იმ პაციენტების რიცხვი, რომელთა სპერმატოზოიდები აღწევენ საშვილოსნოს ყელის შიგთავსში. ასევე პარალელურად მატულობს ე.წ. საექვო ვარიანტები. ასა-ს კონცენტრაციის სამივე ჯგუფში განსაკუთრებით მეტია (40%-ზე მეტი) იმ შემთხვევების რაოდენობა როდესაც სპერმატოზოიდები ვერ ახერხებენ ცერვიკალურ ლორწოში შეღწევას, ე.წ. უარყოფითი რეაქციები.

ცხრილი 10

**სპერმატოზოიდების ქცევა ცერვიკალურ შიგთავსში –
in vitro ცდა სხვადასხვა სგგდ-ს დროს**

სგგდ	in vitro ვარიანტები			
	ა	ბ	გ	დ
Chlamydia trachomatis (n=22)	2 (9,1%)	3 (13,5%)	7 (34,4%)	10 (43,0%)
Ureaplasma urealyticum (n=16)	2 (12,5%)	2 (12,5%)	6 (37,5%)	6 (37,5%)
Mycoplasma hominis (n=8)	2 (25%)	1 (12,5%)	2 (25%)	3 (37,5%)
Trichomonas vaginalis (n=12)	3 (25%)	4 (33,4%)	1 (8,2%)	4 (33,4%)
Neisseria gonorrhoeae (n=4)	1(25%)	0 (0 %)	1 (25%)	2 (50%)

მიღებული შედეგები, რომელიც მოცემულია ცხრილში 10 ნათლად იკვეთება, რომ 62 სგგდ-ით დაავადებული მამაკაციდან დადებითი – in vitro ცდა დაუდგინდა მხოლოდ 10 (17%) პაციენტს. Chlamydia trachomatis-ით დაავადებულ მამაკაცებს სხვა სგგდ-ისაგან განსხვავებით კურცროკ-მილერის დადებითი რეაქცია დადგინდა მხოლოდ 2 (9,1%) შემთხვევაში. ხოლო საექვოდ უარყოფითი რეაქციების ჯამური მაჩვენებელი შეადგენს 20 (90,9%)-ს.

**სპერმატოზოიდების ყოფაქცევა ცერვიკალურ
შიგთავსში – in vitro ცდა გენიტალური ორგანოების
სხვადასხვა პათოლოგიების დროს**

პათოლოგიები	in vitro ვარიანტები			
	ა	ბ	გ	დ
პროსტატიტი (n=23)	6 (27,5%)	5 (23%)	0	12 (49,5%)
ვარიკოცელე (n=14)	3 (23,2%)	0	4 (28,6%)	7 (48,2%)

როგორც ზემოთ მოცემული ცხრილი 11-დან ირკვევა, პროსტატიტისა და ვარიკოცელეს დროს მნიშვნელოვანი ცვლილებებია სპერმატოზოიდების მოძრაობის მხრივ ცერვიკალურ შიგთავსში – ამ ორი პათოლოგიის დროს in vitro უარყოფითი შედეგი ჯამში დაფიქსირდა 19 პაციენტში, რაც ამ პათოლოგიების დროს დადებითი ინ ვიტრო ცდებზე ორჯერ მეტია.

კურცროკ-მილერის ცდებზე დაკვირვებამ გვიჩვენა რომ ეაკულატში ლეიკოციტოსპერმია და სპერმატოზოიდების აგლუტინაცია, რომლის ფორმასაც არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, მნიშვნელოვნად განაპირობებენ in vitro ცდის უარყოფით შედეგებს. დადგინდა, რომ სპერმაგლუტინაციის დროს – 33 (58,9%) შემთხვევაში და ლეიკოციტოსპერმიის დროს 26 (34,2%) ცდის დროს მიღებული შედეგი უარყოფითია, რაც განპირობებულია იმით, რომ აგლუტინაციის ნებისმიერი სახე (თავებით, სხეულით, კუდებით ან შერეული) განაპირობებს სპერმატოზოიდების არა წინსვლით, არამედ პათოლოგიურ (ამ შემთხვევებში ადგილზე) მოძრაობას. რაც შეეხება ლეიკოციტოსპერმიას, სპერმატოზოიდების წინსვლითი მოძრაობა მნიშვნელოვნად შეფერხებული იყო, მათთვის ბარიერულ ფუნქციას ასრულებდნენ ლეიკოციტები.

ილ-8 მამაკაცთა აუტოიმუნური უშვილობის პათოგენეზში და მისი დიაგნოსტიკური მნიშვნელობა

ილ-8-ის კვლევა ჩატრდა 248 უშვილო მამაკაცს, როგორც სისხლში, ასევე სპერმაში მათ შორის მამაკაცებს სეგი-ით – 138-ს, ხოლო უგტ-ს პათოლოგიებით-110-ს. ასევე ინტერლეიკინ-8 შესწავლილ იქნა ამავე პაციენტების ეაკულატში სხვადასხვა პათოლოგიებისა და ანტისპერმალური ანტისხეულების სხვადასხვა კონცენტრაციის დროს.

ილ-8-ის ნორმად განისაზღვრა 25 ფერტილური, პრაქტიკულად ჯანმრთელი მამაკაცის კვლევის შედეგად მიღებული მონაცემი, რომელმაც სისხლის პლაზმაში შეადგინა 40-150-მდე პკგ/მლ, ხოლო ეაკულატში 119-250-მდე პკგ/მლ.

უნაყოფო პაციენტთა ეაკულატში ილ-8-ის კვლევამ აჩვენა, რომ საკვლევ ჯგუფში შესწავლილი მარკერის კონცენტრაცია სარწმუნოდ მაღალია საკონტროლო ჯგუფთან შედარებით ($P=0,00$), თუმცა ასეთი განსხვავება არ იქნა ნანახი სისხლში ($P>0.005$) რაც მიუთითებს უშვილოთა საერთო ჯგუფში (უშვილობის მიზეზის მიუხედავად) ადგილობრივ იმუნურ პასუხზე.

როგორც კვლევებმა გვიჩვენა, გენიტალური ორგანოების პათოლოგიების დროს (ვარიკოცელე, სათესლე გზების ობტურაცია) ილ-8-ის კონცენტრაცია როგორც სისხლში ასევე სპერმაში სტატისტიკურად სარწმუნოდ არ განსხვავდებოდა საკონტროლო ჯგუფში მიღებული შედეგებისაგან. ამ პათოლოგიების მქონე მამაკაცებში ილ-8- იყო საკონტროლო ჯგუფში განსაზღვრული ილ-8-ს ნორმის ზედა ზღვარზე და საშუალოდ მისი კონცენტრაცია შეადგენდა არაუმეტეს 255 პკგ/მლ-ს. გამონაკლისს წარმოადგენდა ავადმყოფები ქრონიკული პროსტატიტით, რომლებსაც ზემოთ აღნიშნული ციტოკინის კონცენტრაცია ეაკულატში მნიშვნელოვნად აღემატებოდა ფერტილურ ჯგუფში მიღებულ შედეგებს

და მერყეობდა 150-315 პკგ/მლ ფარგლებში. შედეგები ასახულია ცხრილში 12 და დიაგრამა 10.

ცხრილი 12


ილ-8-ის კონცენტრაცია სისხლში და ეაკულატში გენიტალური ორგანოების პათოლოგიების დროს

პათოლოგია	ილ-8	
	სისხლში (პკგ/მლ)	სპერმაში (პკგ/მლ)
* პროსტატიტი (n=45)	100.24±19.2	225,25±32.22
ვარიკოცელე (n=28)	98.20±18.1	189±26.55
სათესლე გზების ობტურაცია (n=37)	97.31±19.12	190,35±27.32
საკონტროლო ჯგუფი (n=25)	95.25±18.22	187.34±25.2

* P<0,005 სარწმუნოა როგორც საკონტროლო, ასევე სხვა საკვლევი ჯგუფებთან შედარებით ეაკულატში.

დიაგრამა 10

ილ-8-ის კონცენტრაცია სისხლში და ეაკულატში გენიტალური ორგანოების პათოლოგიების დროს



როგორც ცხრილიდან 12 და დიაგრამიდან 10 ჩანს, განსხვავება ვარიკოცელეს და სათესლე გზების ობტუ-

რაციის დროს საკონტროლო ჯგუფთან შედარებით სტატისტიკურად არასარწმუნოა, ხოლო პროსტატიტით დაავადებულთა შედეგები საკონტროლო ჯგუფთან შედარებით სარწმუნოა სიზუსტით $P < 0,005$.

სხვადასხვა სგგი-ით დაავადებულ უშვილო მამაკაცებში ილ-8-ის კვლევის შედეგად დადგინდა, რომ თუმცა ამ ციტოკინის კონცენტრაცია სისხლში განსხვავდებოდა ფერტილური მამაკაცების ილ-8-ის დონისგან და ძირითადად მერყეობდა 50-160 პკგ/მლ-ის ფარგლებში, ეაკულატში კი შეიმჩნეოდა მნიშვნელოვანი ტენდენცია ზრდისკენ 117-285 პკგ/მლ-მდე და ერთეულ შემთხვევებში ქლამიდიით ინფიცირებულ პაციენტების ეაკულატში ილ-8-ის კონცენტრაციამ შეადგინა 299 პკგ/მლ-მდე. მიღებული შედეგები მიუთითებს, რომ იმუნიტეტივის ამ პარამეტრის გამოყენება დიაგნოსტიკური მიზნით ქრონიკულად მიმდინარე სგგდ-ით ინფერტილურ მამაკაცებში საინტერესოა, თუმცა ილ-8 დონის განსხვავება (ჯგუფებში ვარიაბელურობა) და სტატისტიკურად სარწმუნო სხვაობის არარსებობა კავშირში შეიძლება იყოს სქესობრივ გზით გადამდები დაავადებების მიმდინარეობაზე, რადგან სტატისტიკურად სარწმუნო სხვაობა ვერ იქნა მიღებული. შედეგები მოცემულია ცხრილში 13.

ცხრილი 13

ილ-8-ის კონცენტრაცია სისხლში და ეაკულატში სხვადასხვა სგგდ-ს დროს

სგგდ	ილ 8 (პკგ/მლ)	
	სისხლში	სპერმაში
გონორეა (n=8)	97.25±16.23	196.25±24.22
ქლამიდიოზი (n=48)	100.24±15.25	214.22±28.24
ტრიქომონიაზი (n=26)	96.34±14.24	202.25±21.22
ურაპლაზმოზი (n=37)	97.66±17.91	195.25±26.22
მიკოპლაზმოზი (n=19)	96.24±18.34	204.45±26.42
საკონტროლო ჯგუფი (n=25)	95.25±18.22	187.34±25.2

რაც შეეხება ილ-8-ს კონცენტრაციას ეაკულატის სხვადასხვა პათოლოგიის დროს, გამოვლინდა მნიშვნელოვანი განსხვავება როგორც ჯგუფებს შორის, ასევე საკონტროლო ჯგუფთან შედარებით. ლეიკოციტოსპერმიის დროს მიღებული საკვლევი იმუნოლოგიური მარკერის შედეგები მერყეობდა 180-315 პკგ/მლ ფარგლებში. ე.ი. ხასიათდებოდა დიდი ვარიაბელურობით და სტატისტიკურად სარწმუნოდ მაღალი იყო ეაკულატში საკონტროლო ჯგუფთან შედარებით.

ასპერმიის დროს ილ-8-ის კონცენტრაცია მაღალია სხვა საკვლევი ჯგუფებთან შედარებით, მაგრამ სტატისტიკურად არასარწმუნოდ. თუმცა ერთეულ შემთხვევებში აღნიშნულ ჯგუფში დაფიქსირდა 370-პკგ/მლ-ის ფარგლებშიც, რომელიც მამაკაცთა უშვილობის ექსპრეტორულ-ობტურაციულ ფორმასთან იყო ასოცირებული.

მიღებული შედეგი მიუთითებს თესლსავალ გზებში ხანგრძლივად მიმდინარე ანთებითი პროცესების არსებობაზე, რის შედეგადაც განვითარდა სპერმის გამომტან გზებში ობტურაციული პროცესები.


ანუ ეაკულატის სხვადასხვა პათოლოგიების ჯგუფში ილ-8 კონცენტრაცია უშვილო მამაკაცთა სპერმაში სარწმუნოდ მაღალია საკონტროლო ჯგუფის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით.

უშვილობასთან ასოცირებული პათოსპერმიებიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ლეიკოციტოსპერმიის ჯგუფი, სადაც ილ-8-ის კონცენტრაცია სარწმუნოდ განსხვავდება ($<0,005$) საკონტროლოსგან. შედეგები ასახულია ცხრილში 14 და დიაგრამებში 11 (ა, ბ).


როგორც ცხრილიდან და დიაგრამებიდან ჩანს შეინიშნება სარწმუნო კორელაცია ინტერლეიკინ-8-ის კონცენტრაციასა და სხვადასხვა ხარისხის ოლიგოსპერმიის, ასთენოტერატოსპერმიის, ასპერმიის, ლეიკოციტოსპერმიისა და სპერმაგლუტინაციის ჯგუფებს შორის ერთად საკონტროლო ჯგუფთან შედარებით, $P=0.00$.

დიაგრამა 11(ა)

ილ-8-ის კონცენტრაცია ეაკულატის სხვადასხვა პათოლოგიების დროს



დიაგრამა 11(ბ)



* P<0,005 სარწმუნოა საკონტროლო ჯგუფთან შედარებით

ცხრილი 14

ილ-8-ის კონცენტრაცია ეაკულატის სხვადასხვა
პათოლოგიების დროს

ეაკულატი	ავადმყოფები	ილ-8 კონცენტრაცია ეაკულატში, პკგ/მლ
ასთენოტერატოსპერმია	44	210.25±26.23
ოლიგოზოოსპერმია I	46	190.25±26.5
ოლიგოზოოსპერმია II	42	201,25±25.26
ოლიგოზოოსპერმია III	28	205.24±26.25
ასპერმია	22	226.25±30.22
სპერმაგლუტინაცია	28	170.25±32.22
*ლეიკოციტოსპერმია	38	230.22±31.24
საკონტროლო ჯგუფი	25	187.34±25.2

* P<0,005 sarwmunoa საკონტროლო ჯგუფთან შედარებით

შემდეგ ეტაპზე შევისწავლეთ ილ-8-ის კონცენტრაცია სპერმაში ასას-ს სხვადასხვა კონცენტრაციის დროს – დაბალი, საშუალო და მაღალი კონცენტრაციების დროს შედეგები მოცემულია ცხრილში 15.

ცხრილი 15

ილ-8-ის კონცენტრაცია სგდ-ს და უგტ-ის
პათოლოგიების დროს ასა-ს სხვადასხვა
მაჩვენებლებით სპერმაში

ასა ერთ/მლ	ილ-8 პკგ/მლ
<100 (n= 129)	201.85±27.22
100-150 (n=49)	204.85±32.24
>150 (n=70)	208.85±28.25
საკონტროლო ჯგუფი (n=25)	187.34±25.2

ცხრილი 15-დან ირკვევა, რომ მიღებული შედეგები მნიშვნელოვნად არ განსხვავდება საკონტროლო ჯგუფში ილ-8-ის კონცენტრაციისგან, თუმცა აღინიშნება მისი კონცენტრაციის მატება ანტისპერმალური ანტისხეულების კონცენტრაციის ზრდასთან ერთად მაგრამ ჯგუფებს შორის სტატისტიკურ განსხვავებებს აღვილი არ აქვს.

ჩვენს მიერ გამოვლინდა კავშირი ილ-8-ის კონცენტრაციასა და სგეი-ის შორის. ასევე გამოვავლინეთ კორელაცია სპერმატოზოიდების რაოდენობას, მოძრაობის უნარს, სპერმატოზოიდების პათომორფოლოგიური ფორმების, ანტისპერმალური ანტისხეულების სხვადასხვა კონცენტრაციასა და მამაკაცის გენიტალური ტრაქტის სხვადასხვა პათოლოგიებს შორის. მიღებული შედეგების თანახმად ეაკულატში გამოვლინდა სტატისტიკურად სარწმუნო კორელაცია ქრონიკული პროსტატიტის, ლეიკოციტოსპერმიისა და ილ-8-ის კონცენტრაციას შორის და უნდა აღვნიშნოთ რომ ინტერლეიკინის მაღალი კონცენტრაცია მჭიდროდ იყო დაკავშირებული ლეიკოციტების რაოდენობასთან ეაკულატში, რაც მიუთითებს ინტერლეიკინ-8-ის ჩართულობაზე ანთებით პროცესებსა და იმუნოლოგიურ უშვილობაში.

დასკვნები

- 1) ეაკულატში არსებული ანთებითი პროცესების მარკერები მნიშვნელოვანი დიაგნოსტიკური პლატფორმაა მამაკაცის უშვილობასთან დაკავშირებული რეპროდუქციული სისტემის შეფასებისათვის;
- 2) ჩვენს მიერ შესწავლილი სქესობრივი გზით გადამდები ინფექციებიდან ანტისპერმალურ ანტისხეულებსა და უშვილობასთან ყველაზე ხშირად ასოცირებულია *Chlamydia trachomatis*, *Ureaplasma urealyticum*-და *Mycoplasma hominis*;
- 3) მამაკაცის რეპროდუქციულ სისტემის ორგანოების პათოლოგიებიდან ასა-ს მაღალ ტიტრთან ყველაზე ხშირად ვლინდება თესლგამომტანი გზების ობტურაცია.
- 4) კურცროკ-მილერის უარყოფითი შედეგი (წყვილის უშვილობა) ჩვენს საკვლევ პოპულაციაში ასოცირდებოდა სქესობრივი გზით გადამდებ დაავადებებთან, მამაკაცის გენიტალური ტრაქტის სხვადასხვა პათოლოგიებთან, ანტისპერმალური ანტისხეულების მაღალ ტიტრთან და ილ-8-ის კონცენტრაციის მომატებასთან.
- 5) მამაკაცთა უშვილობა მომატებული ანტისპერმალური ანტისხეულების პირობებში ასოცირებულია სისტემურ დონეზე იმუნოლოგიურ დისრეგულაციასთან, რაც აისახება იმუნოგლობულინების – IgA და IgG მაღალი კონცენტრაციასა და ლომფოციტების პოპულაციურ ჯგუფებში T (CD8+) სარწმუნო მატებასთან.
- 6) ეაკულატში ილ-8-ის მაღალი დონე, სისხლში მისი ზომიერი კონცენტრაციის პირობებში ასახავს შესწავლილი პათოლოგიის დროს ამ ქემოკინის მონაწილეობას იმუნურ პასუხში ლოკალურ დონეზე.

პრაქტიკული რეკომენდაციები

- მამაკაცთა უშვილობის პრევენციისათვის სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების სრულყოფილი დიაგნოსტიკა და მართვა უნდა ითვალისწინებდეს უშვილობის განვითარების პრევენციის მიზნებისათვის ანტისპერმალური ანტისხეულების განსაზღვრას სისხლსა და ეაკულატში, მათ შორის პირებში რომლებმაც ექიმ-ვენეროლოგს მიმართეს რეპროდუქციული სისტემის სხვადასხვა პათოლოგიის მკურნალობის მიზნით (და არა უშვილობის მიზეზით).
- უშვილობის ლაბორატორიული დიაგნოსტიკა ყოველ ინდივიდუალურ შემთხვევაში გულისხმობს/უნდა გულისხმობდეს სპერმომორფოგრამაში ასახული ცვლილებების სიდრმისეულ კვლევას, გამომწვევის (ეტიოლოგიური ფაქტორი) აღმოჩენას, უშვილობის თვალსაზრისით მდგომარეობის სიმძიმის შეფასებას (ასა-ს შესწავლა სისხლში და ეაკულატში), ასევე ეაკულატში გამოხატული ლეიკოციტოსპერმიის პირობებში დამატებითი იმუნოლოგიური კვლევის ჩატარებას.
- ჩვენი კვლევის შედეგების მიხედვით და თანამედროვე ლიტერატურული მონაცემებით აუტოიმუნური უშვილობის მაქსიმალური სიზუსტით მოკლე დროში შეფასება უნდა გულისხმობდეს შემდგომი ეტაპის (IVF და ICSI რეკომენდაციების) სწრაფი განხორციელების ტაქტიკას. სხვადასხვა კვლევების მეთოდური განხილვა და მეტაანალიზი მიუთითებს, რომ დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიების – IVF და ICSI ორივე ფორმა ეაკულატში ასა-ს მქონე უშვილო წყვილებისათვის რჩება როგორც ერთ-ერთი ძირითადი საშუალება და არჩევანი უშვილობის აუტოიმუნური ფორმის პრობლემის მოგვარების დროს.
- ანტისპერმალური ანტისხეულების მაღალი კონცენტრაციის პირობებში კურცროკ-მილერის უარყოფითი

შედგების მიღებისას უნდა გავითვალისწინოთ სქესობრივი პარტნიორის რეპროდუქციულ სისტემაზე პოტენციური ზემოქმედება სპერმის შემადგენლობის ცვლილებისა და სქესობრივი გზით გადამდებ პათოგენთა ტრანსმისიის გამო.

დისერტაციის თემაზე გამოქვეყნებულ ნაშრომთა სია

- 1) Sh.Tciokadze. Urogenital Chlamydiosis – The Culprit of Male Autoimmune Infertility. *Аллергология и иммунология*, Том 11, № 2, 2010; გვ. 109-111.
- 2) Sh.Tchiokadze, G.Galdava. Some Indices of Immune System and ureaplasma urealyticum in Infertile Male. *South Caucasian Dermatology and Venerology Issue #1(8) 2010* p.71.
- 3) Sh.Tchiokadze. Clinical-laboratory Assesment of male Infertility First Students and Young Scientists (IX Aieti Medical School conference) 2013.
- 4) შ.ჭიოკაძე, გ.გალდავა. შარდ-სასქესო სისტემის ინფექციურ-ანთებითი პათოლოგია და სათესლე სითხის ფერტილური თვისებები. *ექსპერიმენტული და კლინიკური მედიცინა* № 2, 2011, გვ. 37-39.
- 5) Sh.Tchiokadze, G.Galdava. Analysis of Spreading the sexualiy Transmitted Disorders in Georgia. Sh.Tchiokadze, G.Galdava, G.Durglishvili, O.QvividZe. *Georgian Medical News* No 3(228), p. 55-59; 2014.
